

სიანთი

გაბოცხვის, 55-ე წელი, (№ 1520) მარტი, 1978, ფასი 20 კაპიკი.

6
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნახ. გ. ფირცხალაშვილი



— იუბი ამოსულა! გარემ მინაკევიც დავთესოთ, უფრო მომგეზიანია!



ნიანგის სიძლიერი მილოცვა გაიას

ალა ჩაისვი კაბის ჯიბეში! — მარადქართული ძალით შეთოკე!.. და დაიბადე ბად-კისინგენში ლეგენდარული ნონას მეტოქედ!

წარმატებათა უწყვეტ კასკადად გაიჩირაღდნე ძნელი მატჩები!.. შენ ეთამაშე ყველა ვარსკვლავს და ახლა თვით მწესაც ეთამაშები!

ჯაურ ბოლქვაძე

კონკრეტული შენი მარბლკარი?

მარბლკარი დიდი ილია კასიდან თბილისისაკენ მოემგზავრებოდა. სანამ მატარებლის ვაგონში ავიდოდა, ბილეთი სალაროში შეიძინა. მოლარემ ხურდა არ დაუბრუნა. ილია ფეხს არ იცვლიდა, მოითხოვდა ხურდას... ამასობაში მატარებელი დაიძრა და ბატონი ილია მატარებელს ჩამორჩა.

მოლარემ ირონიულად ჰკითხა: — კაპიკის გულისთვის ამდენი სფასურის ბილეთი გააუქმეთ? — ეს კაპიკი არც გამამდიდრებს და არც გამაღარიბებს. მე იმითმ ჩამოვრჩი, რომ შენი სულის სიწმინდეზე ვიჭრუნო, რაც არ გეკუთვნის, ის არ უნდა მიიკუთვნოს! — უპასუხა დიღმა ილიამ. დიღმა კაცმა იცოდა, რომ ფული ერთი მხრივ თუ ამდიდრებს ადამიანს, მეორე მხრივ, მისთვის უწინეობის მოტანა შეუძლია და თავისი მაგალითით ქართველობას ასწავლიდა ფულის ყადრს — მოხმარების ხელსაწყოებს. დიღმა, ფულის მიმოქცევაში ერთ-ერთი მთავარი რამ ხურდის დაბრუნება და მიღებაა. ჩვენს საზოგადოებაში გამოჩნდნენ ისეთი „პერსონები“, რომლებიც ისე გაგულუხვდნენ, რომ ხურდის აღება შეურაცხყოფად მიიჩნიათ. იქნება ამ ქუჩის ხალხმა თავისებურად უკარნახეს იმათ, ვისაც ხურდის დაბრუნება ევალებოდათ და ეს ჩვევად უქცეის. სწორედ ამით შემოიღეს წესად: „ვინაა შენი მათხოვარი, რაში მჭირდება შენი კაპიკები?!“ ჰოდა, ვაი-თავმოყვარეობის საზომად აქციეს თავიანთი „მორალი“! ფულს როგორც მოგესურვება, ისე გამოიყენებ, მაგრამ ხარკე ისე, რომ ჩვენს ცხოვრებაში ამგვარი დისონანსები არ შეიტანო.

ახალ კაბი ნეტში ახალ თანამდებობაზე დამსვენს თუ არა, პირველ რიგში ხელი სკამს წავუბოტინე. — ჯერ გამარჯობა თქვე, ადამიანო! — მომესმა უცებ ყრულ ჩაბოლქოლი ხმა, — შენ ადგობა თქვე, თორემ დაჯდომას ყოველთვის მთესსკრებთ სხვებივით! დაფეთებულმა ირგვლივ შიშით მიმოვიხედე: კაბინეტში ჩემს მეტი არავინ იყო, ამიტომ მაგიდის კიდეც მიხუტებულ სკამს მივაჩერდი ეჭვი არ იყო, მუხისაგან შეკრული, ჩუქურთმებიანი ოთხფეხა ხმინაობდა. — გამარჯობათ, — ვთქვი დაბნეულმა და ისევე მიმოვიხედე, სკამს რომ მივესალმე, არავინ შემინინოს-მეთქი. — გამარჯობა ღვთის სიტყვაა, — დაიბუბუნა მუხამ, — მაგრამ ჩემთან რომ მოიმუხლებენ, მალე იფიწყებენ ამ სიტყვას... — მსმენია ასეთი რამ... — მუბლიდან და კისრიდან ცივი ოფლი ჩამოვიწურე. — ამ კარებში ბევრი ცერის წვერებით შემოსულა, მერე მათი ფეხის ხმა აყრუებდა კედლებს და სხვა გამოსავალი რომ ვერ უნახეს, რბილი ხალიჩები დაუფინეს... მერედა, გარემოებისა და ვითარებისამებრ როგორ იცვლიდნენ იერსახეს, რისი ქამლეონი, რა ქამლეონი, შეხამების შეუღარებელ ნიჭს იჩენდნენ, კაიკაცობის ნიჭი კი არ მოქცეებოდათ. — ალბათ ბაბაღებით იქნებოდნენ ასეთნი... — წავიბუტებულე მე. — არა, ბაგეშობაც მახსოვს ზოგი მათგანის, მაშინ მე ტანგაშლილი, მწესთან შეთამამებული, ფოთლებმრიალა მუხა ვიყავი, ჩემს ჩეროში იყრიდნენ ტანს სულით და ხორციით უმანკოები. ჰოდა, ერთი მათგანი დიდი ხნის შემდეგ ისევე მეახლა, ამაყად ამხედა, თავი გააქნია, მე ვტკბებოდი მისი დაჯუჯაკებით, ოღონდ ეგ იყო, ოღონდ ქონი მოძალეზოდა და ეგ არ მემამა. მალე დამტოვა. როგორც მოვიდა, ისე წავიდა მძიმე ნაბიჯებით, ამაყად თავაწეული, თითქოს ის კი არ იყო მიწის შვილი, არამედ თვითონ მას მოეზილოს ეს მრგვალი ბურთი. — სიჭაბუკეში მოსდით ნოლმე ასე... — გამოვექომავე ჩემს წინამორბედს. — სამწუხაროდ, ასეა, — კვერი დამიკრა მანაც. — ერთი კვირა გავიდა და ხერხით მომადგნენ. ერთმა გაბრაზებით თქვა: საკუთარ თავს დააბრალოს, მისივე გაზრდილმა უქნა ასეო... მერე ხერხის ხრიალმა გააყრუა იქაურობა... — ახლა სად არის ის კაცი? — ვკითხე გაოცებულმა. — ჩემგან ააბრძანეს და პანლური ჰქრეს... ერთხანს ჩაფიქრებული ვიჯექი, მერე წითელ დილაქს თითო დავაჭირე. იმავე წამს თვალწარბმონატულმა, ბაგეშელებილმა, ლერწმისტანა ქალიშვილმა შემოყო თავი. — ეს სკამი ვაიტანეთ და სხვა მომიტანეთ! — სასწრაფოდ გავეცი პირველი განკარგულება. ახალ სკამს ხმა არ გაუღია, მეც მშვიდად ჩამოვჯექი და სივარტე გავაბოლე.

გივი ჯანაშვილი

„წყალნი წაბლენ და წამოვლენ...“

მე ჩემი „ზაპოროუციით“, შენ კი შენი „ვოლგით“ (გაზ-24, გატ-87-71) ვდგავართ ორთაქალის ავტოსამრეცხაოსთან. ჩემს „ზაპოროუცი“ იგივე მტვერი და ტალახი ადევს, რაც შენს გაზ-24-ს, მაგრამ ტალახს სხვადასხვა მანქანაზე სხვადასხვა ფასი ჰქონია, ფასი კი ფულია და იგი, საბოლოო რამში, ხელის ტუტყია. ზოგნი თვის განმავლობაში ისე ტუტყიანდებიან, რომ მისი მოცილება ძვირად უჯდებათ! ისე დიღია შენი გაზულუქება, გაზ-24-ის მეუფეო, რომ შენი „ვოლგის“ მთლიანობაში გადადის და მისი ირონია ჩემი „ზაპოროუცი“ მიმართ ღირებულდებათა ფარდობაში გამოიხატება. ეს შენი ირონიაც არის ჩემს მიმართ! ეს მკვეთრად მაშინ გამოიხატა, როცა ფულტუტყუმრეცხავებმა ჯარირ ხალილო-33მ და მისმა პანანაპანამ საპატარძლო ქალივით მოვირთეს შენი გაზ-24 (87-71 გატ), შენ იმ დროს ჰგავდი სიძეს, რომლის თხოვნიაც დამკვრელებმა „ჩვირანის“ ჰანგებით ააცეკვეს მორცხვის საპატარძლო... ხუთ-ხუთმანეთიანებს ისერი, ქვითარში გადახდილი ფული შენ არ გაკმაყოფილებს, ალბათ, გეცოტავება, და ბრაზობ: „ვინაა თქვენი მათხოვარი?!“

შენი მსგავსნი აღმოჩნდნენ მარნეულელი ჩილინბაროვი და ენიზაროვი, როცა თავიანთი „უიგული“, გაი 12-68 გაარეცხინეს! თქვენ ხომ მარტო მანქანის გარეცხვა არ გენდომებთ?! თქვენთვის საჭიროა საპარემანეროში პირის გაპარსვა, აბანოში — მექისე, ატელიში — კოსტიუმის შეკერვა, მაღაზიებში დავლა და ყველგან ხურდის დატოვება?! ბარაქალა თქვენს შემოსავალ-გასავალს! სინდისი? სინდისის გარეცხვის საქმე როგორა გაქვთ?!

ანტილოკა-ბნუ, თუ ტაქსი?

„ანტილოკა-ბნუ“ ფუ ფუ ე ბ ი ს საგანი როდია, იგი გადაადგილების საშუალებაა, მით უმეტეს — ტაქსი! მაგრამ, რატომღაც, ჩვენში ტაქსი ფუფუნების საგნად აქციეს მძღოლებმა, მათ ჰგონიათ, ვინც ტაქსი ჩაქდება, ფული გადასაყრელი აქვს და ხურდას არ უბრუნებენ. ხანდახან არც ტაქსის მძღოლები ტყუიან, უნდათ ხურდის დაბრუნება, მაგრამ კლიენტის თავმოყვარეობის უფრთხილდებიან: „ვინაა შენი მათხოვარი?!“ მეტად ხანტერესოა, როგორ ხურდავდება ეს აზრი, — რაში მჭირ-

ეპიტაფია მიცვალებულთა მოსაგონარი ლექსია, საფლავის ქვაზე იწერება. ზოგჯერ ცოცხალთა მოსაგონარცაა და ციხის კედელზე წასაწერადაა გამიზნული.

მეპრთამის ეპიტაფია

სოფელში ოდა ავაგე, მამაბაბეულ კერაზე,
ფანჯრები მივალ-მოვალე, სარდაფი შევეკეტ-შევკრახე!...
ფართო ეზოში კოინდარს დავაწყებინე ღალანი,
გარს ვალავანი მოვავლე, სტადიონივით მაღალი!...
სოფელი სოფლად მინდოდა, ქალაქში მქონდა ფინიში,
წავასხი მთელი ჯალაბი და წავგვრიალდი თბილისში!..
ბინა ვიყიდე, რა ბინა, ერთ რამედ ღირდა დანახვა, —
ოთახი გვქონდა იმდენი, ცოლს ძლივს ვაგნებდი ხანდახან!..
ახლა დგამ-ავეჯს არ იტყვი? — სულ უცხოური, რჩეული,
ვინც ნახა, შურით გაგიჟდა, წავიდა გადარეული!..
„ვოლგა“ ვიყიდე ჩემთვისა, სიძეს ვუყიდე „ჟიგული“,
„ვოლგა“ უნდოდა, „ჟიგულზე“ ძლივს დავითანხმე დიდგული.
ბიჭი გავზარდე იწყინარად, არ გაუვიდა უარი,
გოგო კი გავაეჭიქე, გამოვიყვანე მკურნალი!..
ამდენი საქმის მოქმედი — ვზივარ საკანში მოხრილი!
ვაიმე, რა მეშველება! — ვხმები მათხოვრის ჯოხით!..

მომხვეპალის ეპიტაფია

ქვეყანა მიჩნდა ჩემად, როგორც მეწველი ფური,
ფული მიყვარდა, ფული, ფული, ფული და ფული!...
ფული მიმაჩნდა ხატად, ფული მიმაჩნდა ღმერთად,
ყველაფერს ვკადრულობდი, ფული რომ მეგდო ხელთა!...
ნამუსსაც ვყიდდი ფულზე, ფულზე სინდისსაც ვყიდდი,
ფულისთვის ვიყავ ცრუ და ფულისთვის ვიყავ ფლიდი!..
ფულისთვის ვიყავ მავნე, ბოროტი, ყალბისმქნელი,
გულს ვერ ვივსებდი ფულით, ვიყავ უძირო ქვევრი!..
ოდონდ ჩამეგდო ხელში ფულის კონები შეავად, —
შავს ვასაღებდი თეთრად, თეთრს ვასაღებდი შავად!..
მსურდა მეტი და მეტი, ვერ ვისვენებდი ძილშიც,
გიჟი ვიყავი ფულის, გიჟი ვიყავი, გიჟი!...
გიჟი ვიყავი ფულის, სურვილს ვერ ვსდებდი აღვირს!..
ახლა აქ თითებს ვიკვნეტ, — ფულების თვლაში დაღლილს!..

ნოდარ შამანაძე



— შეხედე, ჩვენი ვებეძიდი ყორი ჰკონიათ!

დება ხურდა, რკინიგზის სადგურთან ტაქსებიდან გადმოსული მოქალაქეებისგან:

- თქვენი გვარი?
- დალი მგალაძე.
- სად მუშაობ?
- „სოიუსპრომბანკში“.
- ხურდა რატომ არ გამოართვით მძღოლს?
- საშოცი კაბიკი რა გამოსართმევია?!
- რატომ?
- თუ საჭიროა, თქვენ გამოართვით ხურდა! — უფლება მომცა დალი მგალაძემ და ძვირფასი სამკაულებისა და „დუბლიონის“ ეშხი და მიტოვა.
- ...
- თქვენ გადასაყრელი ფული გაქვთ? — კითხე ფოთელ გვარბ-

- მიბს, ტაქსის მძღოლს მადლობით რომ დაუტოვა ოცდაათი კაბიკი.
- მაგალითად, რა მოხდა ისეთი? — გაოცდა გვარამია.
- არაფერი, მეთევზე უოფილხართ და თქვენს ბადეს თვალი ჩავარდნია!
- ხუმარა ხალხი ჩანხართ! — ჩაიცინა გვარამიამ და ფოთისკენ კალმანხით გაგვიძვრა .
- ...
- ალბათ, შენი ნაშოვნი არ არის ეს ფული! ვუთხარი ვალმხ ისმანი-ლოვს.
- რომელი ფული? — იკითხა ვალმხმა.
- აი, ის საშოცდაათი კაბიკი, ტაქსის მძღოლს რომ უხახსოვრეთ!
- გამიშვით, მეჩქარება!
- კი მაგრამ, სად გეჩქარება? არსად არ მუშაობ და არ სწავლობ?!
- ...

სამტრედიელმა სულამამ, რომელმაც გვარიანად დაასაჩუქრა ტაქსის მძღოლი, პირველი „ჩვენება“ მოგვცა, რომ იგი ხარატია, მერე, როცა ჩვენს შორის რაღაც ინტიმი გაჩნდა, გვითხრა, რომ ახლა იგი ვაჭრობის ქურუმის ამპლუაშია.
იმითომაც კარგად სცოდნია შაბაშის ფასი!


ფულის სადგომი

მსუბუქი ავტომანქანების სადგომებთანაც სულ რაღაც ნახევარი საათის განმავლობაში ვიდექი „პირიშის“ წინ და სათვალავი ამერიკა, იმდენი მუქი ოცკაბიკიანი და ორმოცდაათკაბიკიანი ჩაჩხრიალდა მორიგე ყარაულების ჯიბებში.
ავტომანქანების ამ სადგომის მორიგე ამინაშვილს, თითქოს სამოწყალოდ ესროლეს აბაზანები თბილისის თბომეურნეობის სამმართველოს მუშაკმა, ვინმე შინჯიპაშვილმა („ჟიგული“ 48-42 გვ) გულუხვმა მოქალაქე სარაიშვილმა და სხვებმა (მათი რიცხვი დღეში სამას-ოთხას აბაზამდე აღწევს).


* * *

იქნებ ვინმე შემომედავოს, ასე არ არისო, მე ხურდას დავაბრუნებ, თქვენ გინდა აიღეთ, გინდა არა!

ნახ. ზ. ლომიძის



— შაური მაინც მომეცე, სხლში რომ ავტოგუსით მივიღე!



133 - 78
31.11



საშურის მუსიკალურ სკოლას შენობა არ გააჩნია და კულტურის სახლშია განაწილებული. კულტურის სახლში კი სივიწროვება და მასწავლებლები თავიანთ სახლებში არიან განაწილებულნი. მოსწავლეები თავიანთი სახლებიდან მასწავლებლების სახლებში არიან განაწილებულნი, ხოლო მოსწავლეების მშობლები, საჩივრებით ხელში, სხვადასხვა ინსტანციებში განაწილებულან...

საინტერესოა, როდის შეიკრიბებიან ერთ შენობაში მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები?

* * *

განა სულ ღვინოსა ვსვამთ? დროგამოშვებით წყალიც გვესაჭიროება! მსოფლიოში სახელგანთქმულსა და ლამაზ სოფელ ნაფარულს თელავის რაიონში ტოლი არა ჰყავს. მანქანით მოსაფლტებულ გზაზე რომ მიჰქრისართ, ერთ და ორ წყაროს კი დაინახავთ, მაგრამ დიდ სოფელს დიდი მოთხოვნილება აქვს. წყალგაყვანილობის სამუშაოები ნაწილობრივ ჩატარებულია, ნაწილობრივ წყალიც მოდის, მაგრამ კარგად დაწყებულ საქმეს კარგად დამთავრება სჭირდება. სოფლის შუა ნაწილი უწყლოა, თავსა და ბოლოში კი წყალი უხვად მოჩუქნუხებს.

ზიარი ჭურჭელი ძნელი მოსანახავია?

* * *

ჩაილურის წყალი დალია ჩვენმა აბანომ, ფოსტამ, გზამ, და ავტობუსმა. სოფ. პატარა ჩაილურიდან საგარეო მდებარეობით თუ ჩამოვედით, მერე გზა გასხნილი გვაქვს მსოფლიოს ოთხივე კუთხით, მაგრამ რაიონის ცენტრში ჩამოსვლა ძალზე გვიჭირს. აქ სამარშრუტო ავტობუსში ჩაჯდომას სპორტის ოსტატის წოდება თუ არა, პირველი თანრიგი მანც უნდა სტომაში, ფანჯრიდან გადასვლაში, კრივსა და ჭიდაობაში. საგარეოს რაიონში ჭიდაობა მამაპაპური სპორტია. ჩვენც არ გვინდა ავულალატოთ ამ ტრადიციას, მაგრამ ვის ვეჭიდაოთ?

* * *

ახალციხის რაიონის ახლომასლო სოფლების პატარები გვეკითხებიან: „ძია ნიანგო! რატომაა ჩვენი ტელევიზორის გერანებზე თოვლის ფიფქების უწყვეტი ნაკადი. განა არ გასაფხულდა?“

ჩემო პატარებო! ეს თოვლის ფიფქები არაა. იქვე, თქვენთან ახლოს, ტელეანძაა აღმართული, რომელიც გამოსასულიებას ღებულობს, თოვლის ფიფქად გარდაქმნის და თქვენ გიგზავნით. ასეთი ტელეანძები სხვა რაიონებშიცაა, მაგრამ იქ, თოვლის ფიფქის ნაცვლად, ტალღებს აგვნიებს, ზოგან კი უსცეცხვანატრებათ. რატომ? იმიტომ, რომ ამ საქმეს ფიფქივით გულცივად ექცვიან.

— ანონიმისტი! სანამ უკუღმა არ შეხედავს ცხოვრებას, ვეღარაფერს წერს!

ნაჩილები კასუხებიანარ

X X X

სიმართლეს თუ არ ვამბობდეთ, ნიანგო, ენა გაგვიხმეს: საჩხერის რაიონში ჩვენი სოფელი საირხე. გრძელიშვილების უბანში წყარო გვექონდა და რა წყარო! დღეს ისე გაჭუჭყიანდა, სარეცხისთვისაც არ ვხმარობთ. შიგ ბაყაყები ცურავენ, აღარ გვაქვს წყარო ანკარა.. ნიანგო, თუ არ ჩამოდი, მართო პასუხი არ კმარა!


ნიანგო:

ვისაც ეგ საქმე ეხება, თავს იმძინარებს ძალითა, მიდით და პირი დაბანეთ მაგ თქვენი „წყაროს“ წყალითა!

ბოლნისის რაიონიდან წერილს გწერთ უკვე მეორედ, ერთხელ ჩვილმა არ გასჭრა, მიტომაც ვაგიმეორეთ! რატისუბანში კლუბი გვაქვს, ადრე ყოფილა საქათმე, ოცი წელია ფეხზე დგას, არ დანგრეულა აქამდე, არ ღირსებია რემონტი, ლამის გადიქცეს ბოსელად, ჭერსა და კედლებს სულ მალე ვივინა და ქარი მოცელავს!

ნიანგო:

ვიცი, სოფელში ცხოვრება უკლებლოდ მართლაც ძნელია, ნუთუ ამ კლუბის შემყურე სოფლის თავკაციც ძველია?



ინფორმაციული ამინდის შესახებ განსაკუთრებული არაფერი ვაღიარებ...

კეთილი და პატიოსანი. ჩაილაპარაკე ღირებულება და განცხადებას კუთხეში მიაწერა:

დაკმაყოფილებულ იქნეს გვერდინეთის სატყეო უბნის უფროსის ტ. ნოზაძის თხოვნა...

იმ დღეს, ე. ი. 1973 წლის 17 სექტემბერს, სხვა რამ ღირსშესანიშნავი აღარაფერი მომხდარა...

გვარი შეთანხმების გარეშე, ხე-ტყის დამზადების ოსტატად დანიშნა.


მას შემდეგ გამრავლდნენ შავი ღრუბლები ოსტატის ცაზე. უარყოფითად დამუხტულდება დადებითად დამუხტულებს შეუტეის...

ბრძანება რაღა ბრძანებაა, თუ მის შესრულებას ბედი არ უწერია? ქარელის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებაში ბ. თაბუაშვილის მიერ გადაგზავნილი ბრალდება ძალაში შევიდა...


ახლა კი დაადგება საშველი ჩემს უამინდობასო, მაგრამ უფროსი რაღა უფროსია, თუ სიტყვას-გიმტყუნებს და თავისას არ გაიტანს...

განახლდა გამოძიება. ისევ მოიღრუბლა ნოზაძის ცაზე. სატყეო კომიტეტის სარევიზო ჩგუფმა, ტყეს ვინა ჩივის, ფოთლოვც იღაუთვალა გვერდინეთის სატყეო უბნის ხეებს...

ნახ. 5. ქელეხსაზვილინსა



უსიტყვოდ




უსიტყვოდ

3. კახელიზვილი 3. ხმალაძე

მთავარი რედაქტორი ზურაბ ზემაზაშვილი სარედაქციო კოლეგია: ზ. ბოლქვაძე (მთ. რედ. მოადგილე) ზ. კაციაშვილი, ჯ. ლოლუა, ბ. ლომიძე, ნ. მაღალაშვილი (მხატვ. რედ.), ბ. ნოზაძე, ბ. სისხარულიძე (პ/მგ. მდივანი), ბ. ფირცხალავა, მ. ზალიძე...



ნახატი თემებს ავტორები: ა. ადვიშვილი, მ. დეიხაძე, ბ. ფირცხალავა, რ. ნანაღორაძე, ნ. ქვლესაშვილი, მ. აბაშიძე, ბ. ლომიძე.




ისრავლი მოითხოვს შეერთებული შტატები-
საგან სრულიად ახალ შეიარაღებას.

— კია, მომიკიდე ახალი ასანთით!

ვაზინგტონი ათასნაირ ხრიკებს
მიმართავს, რათა მოაჩვენოს მსოფლიო
საზოგადოებრიობას სამხრეთ კორეიდან
საკუთარი შეიარაღებული ძალების „გა-
ყვანის“ შემთხვევები.

წამსვლელ-დამჩვენნი



ყოველ დოლარს, რომელ-
საც „დახმარების“ სახით აწვდიან
ამერიკელი მონოპოლისტები სუს-
ტადგანეთარებულ ქვეყნებს,
მოაქვს ოთხი-ხუთი დოლარი. მო-
გება.

გუმერანგი

ნახ. ზ. ლომიძისა

